პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 22-ე წელი

ხუთშაბათი, 7 თებერვალი, 1952 წ. № 32 (9192). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

საქართველოს მეშახტეთა საბრძოლო ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
კომუნიზმის დიად მშენებლობებზე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — პარტიული ჟალების სწორად განაწილება საგეურნეო წარმატებათა მოკოვების მნიშვნელოვანი პირობაა (მე-2 გვერდი).
ერთი ფაბრიკის გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი (მე-2 გვერდი).
გაპაძლიერეთ ძვირფასი ნედლეულის დამზადება (მე-2 გვერდი).
მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის ცენტრი მოსახლეობაში (მე-2 გვერდი).
ადამიანები და ძალადები (მე-3 გვერდი).
სუხუმის ვაგზლის ახალი შენობა (მე-3 გვერდი).
სწორად გამოვიყენოთ მინერალური სასუქები (მე-3 გვერდი).
მატარებელი მარშალ ჩოიბალსანის ცხედრით ულან-ბატორს ჩავიდა (მე-4 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დახურვა (მე-4 გვერდი).
ი. ა. მალიკის განცხადება გენერალური ასამბლეის 1952 წლის 5 თებერვალს უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს მეშახტეთა საბრძოლო ამოცანა

საბჭოთა მეშახტეები, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად, ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ ქვანახშირის ამოღების განუხრელი ზრდისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ამხანაგმა სტალინმა 1934 წელს პარტიის XVII ყრილობაზე ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა: „მთელი ძალღონით გავშალოთ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება ყველა უკვე ცნობილ რაიონში, მოვაწყოთ ქვანახშირის ამოღების ახალი რაიონები (მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ბურეისკის რაიონში), გადავაქციოთ კუზბასი მეორე დონბასად“.

საბჭოთა მეშახტეებმა დიდი მუშაობა გასწიეს სტალინური დავალების ღირსეულად შესრულებისათვის. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ქვანახშირის ამოღების ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 24 მილიონ ტონას უდრის.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ მეშახტეთა შრომის ყოველმხრივ შემსუბუქებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ქვანახშირის მრეწველობაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე დანერგილია დიდძალი ახალი, მოწინავე სამთო ტექნიკა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მძიმე და შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაცია. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მეშახტეები ყველაზე დაბეჩავებული და დაჩაგრული ადამიანები არიან, ჩვენს ქვეყანაში მეშახტეები საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ხალხის ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობენ. ქვანახშირის მრეწველობის მუშებს ხელფასის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავთ სხვა დარგების მუშათა შორის. ამის შედეგად ჩვენ გვყავს მეშახტეთა მუდმივი კვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვანახშირის მრეწველობის წარმატებით განვითარებას.

სტალინური მზრუნველობა საბჭოთა მეშახტეებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოპოვებისათვის. როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობიდან ჩანს, მეშახტეებმა წარმატებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 1951 წლის გეგმა, ამასთან უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება და თვითღირებულების შემცირება.

საბჭოთა მეშახტეების მიერ მოპოვებულ ამ უდიდეს წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს მეშახტეებს. ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა გაანაღდეს ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა და წარმატებით შეასრულეს 1951 წლის საწარმოო დავალება. თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული საგეგმო დავალებების მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების საქმეში. საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა გასულ წელს შრომის ნაყოფიერების გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო ამოღებული სათბობის ნაცრიანობა 0,6 პროცენტით შეამცირა.

ეს წარმატებანი მოპოვებულია მეშახტეთა თავდადებული, გმირული შრომით, შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობით, შახტებში მოწინავე სამთო ტექნიკის დანერგვითა და მისი უკეთ გამოყენებით, ხალხთა სტალინური მეგობრობის საფუძველზე საქართველოსა და მომძმე უკრაინის მეშახტეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებით. შეჯიბრების მიმდინარეობაში წარმოიშვა სტახანოვური შრომის ახალი ფორმები და მეთოდები, დაწინაურდა ქვანახშირის ასობით ოსტატი და წარმოების მეთაური. მთელ ჩვენს ქვეყანაშია ცნობილი ქვანახშირის მრეწველობის გამოჩენილი ნოვატორების შ. ფურცხვანიძის, ი. ორჯონიკიძის, დ. ქათამაძის, ვ. ჟიტნიკოვის, ნ. ხაჩიპერაძის, მოწინავე უბნის უფროსების პ. ნანიკაშვილის, ნ. გუგუშვილის და სხვათა სტახანოვური საქმეები.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ საქართველოს მეშახტეებმა 1952 წელს. მათ არა მარტო უნდა გაზარდონ ქვანახშირის ამოღება, არამედ შემდგომ აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ ამოღებული სათბობის თვითღირებულება და გაუმჯობესონ ხარისხი, უფრო სრულყოფილად აითვისონ მძლავრი საბჭოთა ტექნიკა. ტყიბულის ყველა შახტში უნდა დაინერგოს ქვანახშირის ფენების დამუშავების ახალი, რენტაბელური სისტემა — გამომუშავებული სივრცის ჰიდრავლიკური ვსება. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ბოლშევიკური შეუპოვრობით და ენერგიით გაჩაღდეს ბრძოლა შახტებისა და უბნების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ახალი შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინებისათვის.

გასულ წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშაობაში ერთერთი ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ მთელმა რიგმა შახტებმა და უბნებმა ვერ უზრუნველყვეს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის შესრულება. მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლაში შარშან ჩამორჩნენ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტები, აგრეთვე ახალციხის შახტების სამმართველოს პირველი და მეორე შახტები. ამ ოთხი შახტიდან სამმა მიმდინარე წლის ანვარში დაძლია ჩამორჩენა. მაგრამ კვლავ ცუდად მუშაობს ახალციხის პირველი შახტი (უფროსი გ. ჩიტიშვილი). აღნიშნული შახტის კოლექტივს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ გამოასწოროს ჩამორჩენა და მიაღწიოს გეგმის წარმატებით შესრულებას.

ქვანახშირის რაიონების სამეურნეო, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების სამრძოლო ამოცანაა უზრუნველყონ გეგმის ყოველდღიური შესრულება ყოველ შახტში, უბანსა და ბრიგადაში. თვითეული შახტისა და უბნის რიტმული, შეწყობილი მუშაობისათვის აუცილებელია, რომ წარმოების მეთაურებმა, უწინარეს ყოვლისა, სისტემატური კონტროლი დაწესონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულებაზე, ახალი უბნებისა და ლავების დაწესებულ ვადებში მომზადებაზე; მეორე, გბედულად დანერგონ წარმოებაში მოწინავე სამთო ტექნიკა და უზრუნველყონ მისი მთელი სიმძლავრით გამოყენება; მესამე, კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, სულ უფრო და უფრო მეტი ლავი გადაიყვანონ ციკლური გრაფიკით მუშაობაზე.

ქვანახშირის ამოღების გადიდების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი ღონისძიებაა მეშახტეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება. წელს მეშახტეთა ბინათმშენებლობაზე 45,4 მილიონი მანეთი დაიხარჯება. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად გაწეულია დიდი მუშაობა მეშახტეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად ამ მხრივ მოპოვებული წარმატებებისა, ზოგიერთ ტრესტსა და შახტში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშათა ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში მოუგვარებელია გათბობა, არ იცავენ სისუფთავეს, ოთახებში არ არის საჭირო ავეჯი, შახტებში ცუდად მუშაობენ აბანოები. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ტყიბულელ მეშახტეთა პატრიოტული მოწოდების პასუხად საქართველოს ქვანახშირის რაიონებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ახალი საგეურნეო წლის პირველი თვის—იანვრის შედეგები ცხადყოფენ, რომ მეშახტეები წარმატებით ასრულებენ მომძმე დონბასელ მეშახტეებთან ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს. ამოცანა ის არის, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები ერთი წუთითაც არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, ბოლშევიკური შეურიგებლობით იბრძოლონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ყოველმხრივ განამტკიცონ მოპოვებული წარმატებანი და მიაღწიონ იმ დიდი და საპატიო ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც მათ წინაშეა დასახული.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა დამატებითი ტირაჟი ესტონურ ენაზე

ტალინი, 5 თებერვალი. (საკდესი). ესტონეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო ესტონურ ენაზე ი. ბ. სტალინის თხზულებათა დამატებითი ტირაჟის გამოშვება. გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა დამატებითი ტირაჟის პირველი ტომი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

მხარს უჭერენ გუიბულელთა მიმართვას

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხის შახტებში გულდასმით იხილავენ ტყიბულელ მეშახტეთა წერილს და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

1 თებერვალს შედგა № 2 შახტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება. შახტსამმართველოს უფროსმა ამხ. ლ. რატიანმა დამსწრეთ გააცნო ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივის მიმართვა საქართველოს ყველა მეშახტისადმი.

სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა გამყვანმა შ. ბერიძემ განაცხადა: — თუ დღემდე დღიურ ნორმებს 140-150 პროცენტით ვასრულებდი, მომავალში გამომუშავების ნორმების შესრულებას 180-200 პროცენტამდე ავიყვან.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს მნგრეველმა ზ. გალუსტიანმა, ლავიდან ქვანახშირის დამწევმა ი. გვარამაძემ, მ. აფელიანმა, ელექტრომემანქანე ტატიანა ლომიძემ და სხვ.

შახტის უფროსმა გ. ძიძიგურმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელების შედეგად № 2 შახტი წარმატებას აღწევს. ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა შესრულებულია 143,1 პროცენტით.

ტყიბულელ მეშახტეთა წერილის საპასუხოდ ახალციხელ მეშახტეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებში გათვალისწინებულია მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირის ამოღება, სამთო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება და ეგანახშირის ამოღების წლიური გეგმის 5 დეკემბრამდე შესრულება.

№ 2 შახტის კოლექტივმა გადაწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ტყიბულის მოლოტოვის სახელობის შახტი.

ქართველ მეგალურგთა დელეგაცია გაგანროგში

რუსთავი. (საკ. კორ.). ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად ქართველმა მეტალურგებმა ამ დღეებში ქალაქ ტაგანროგში გაგზავნეს დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავჯდომარე ა. ბუაძე, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. ბაკაშვილი, მარტენის საამქროს უფროსი ს. შარაძენიძე, საურნალო საამქროს უფროსი მ. წიტაიშვილი და მოწინავე მეფოლადე შ. კუხალეიშვილი.

ტაგანროგელებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. იქ, ანდრეევის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში აღიზარდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საუკეთესო მეფოლადეები ვ. გიგიბერია, ა. ფანცულაია, დელეგაციის წევრი შ. კუხალეიშვილი და მრავალი სხვა.

ტაგანროგელ მეტალურგებთან შეჯიბრებაში ქართველმა მეტალურგებმა იკისრეს ვადაზე ადრე შეასრულონ ყველა სახის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა; გეგმასთან შედარებით: 2 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება; წლის განმავლობაში დაზოგონ 2.500 ტონა თუჯი, 3.500 ტონა ჯართი, 1.000 ტონა მაზუთი, მილიონნახევარი კილოვატსაათი ელექტროენერგია; გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტით შეამცირონ გამოშვებული პროდუქციის წუნისაგან მიღებული დანაკარგი; ტექნიკურ კურსებზე მოამზადონ 1.800 კაცი.

ტაგანროგელებმა მიიღეს რუსთავის მეტალურგთა გამოწვევა და სოციალისტური შეჯიბრების თავიანთ ხელშეკრულებაშიც გადიდებული შრომითი ვალდებულებანი ჩაწერეს.

იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა

ქოგულეთი. (საკ. კორ.). ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. გადიდდა შრომადღის ღირებულებაც. 1951 წელს ჩაისუბნელმა კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე 22 მანეთი ფულად და 5 კილოგრამი მარცვლეული მიიღეს.

კოლმეურნე დ. ყურშუბაძის ოჯახმა, რომელმაც შარშან 2.005 შრომადღე გამოიმუშავა, კოლმეურნეობიდან ფულად 44.110 მანეთი და ნატურით 10.085 კილოგრამი მარცვლეული მიიღო. კოლმეურნე ი. ბერიძის ოჯახმა მიიღო 28.226 მანეთი და 6.415 კილოგრამი მარცვლეული, ხოლო ი. ზოიძის ოჯახმა — 25.718 მანეთი და 5.845 კილოგრამი მარცვლეული.

კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე მიღებული ფულით ისინი ახალ სახლებს იშენებენ. მარტო 1951 წელს 25 ჩაისუბნელმა კოლმეურნემ ახალი ლამაზი ოდა-სახლი აიშენა. ბევრმა მათგანმა შეიძინა ძვირფასი საოჯახო ავეჯი, პირადი სარგებლობისათვის მსუბუქი მანქანები, დაიდგეს რადიომიმღები აპარატები.

რაღიოქსელი სოფლებში

სამტრედია. (ხაკ. კორ.). შარშან სამტრედიის რაიონში რადიოფიცირებულ იქნა იანეთის, ნაფაღაურის, ოქტომბრის, მელაურისა და ეწრის საბჭოებში შემავალი სოფლები.

წელს კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორას გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს გომისა და ზედა ეწრის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების რადიოფიცირება.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის მე-4 კვარტალის შედეგები. პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო თბილისის ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა (დირექტორი ვ. გრიგალაშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. იუშკევიჩი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ა. თვალჭრელიძე). ქარხანას დაეტოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია 16.875 მანეთი.

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების მრეწველობის კომბინატს (დირექტორი მ. ჩიქოვანი, პარტბიუროს მდივანი კ. კიპაროიძე, ადგილკომის თავმჯდომარე კ. სულაბერიძე) მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 22.500 მანეთი.

შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მეორე ფულადი პრემია მიეკუთვნა თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკას, ხოლო მესამე ფულადი პრემია თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანას.

ამასთანავე პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არიან 26 კომისრის სახელობის, კალინინის სახელობისა და ლითონკონსტრუქციების ქარხნები, აგრეთვე რაიონული მრეწველობის საწარმოთა უმრავლესობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვერ ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრების პირობებს.

კომუნიზმის დიად მშენებლობებზე

კუიბიშევის ჰესის კაშხალის მექანიკური მოწყობილობის დაპროექტება

ლენინგრადი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს საკავშირო ტრესტის „ჰიდრომონტაჟის“ ლენინგრადის საპროექტო-საკონსტრუქტორო კანტორის კოლექტივი შეუდგა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის მექანიკური მოწყობილობის ტექნიკურ დაპროექტებას. კაშხალის მოწყობილობის დაპროექტების ინჟინერთა და ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მ. ნ. ფედოროვმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

—ჩვენმა კოლექტივმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო საპატიო დავალება. კუიბიშევის ჰესის კაშხალი ყველაზე დიდი რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალი იქნება საბჭოთა კავშირში. მას ერთი კილომეტრი სიგრძე ექნება. ჩვენ უნდა დავაპროექტოთ 40-ზე მეტი ლითონის საკეტი მოვარდნილი წყლის გადასაგდებად. თვითეული ასეთი საკეტი მიიღებს 1.000 ტონამდე წყლის წნევას. დღემდე დიდი კაშხალის საკეტები ჩვეულებრივი ნახშირბადიანი ფოლადისა კეთდებოდა. კუიბიშევის ჰესის კაშხალისათვის გადაწყვეტილი გვაქვს გამოვიყენოთ გადიდებული სიმკვრივის ლითონი. საკეტის ასაწევად წინათ სპეციალური თვლებიანი მოწყობილობა კეთდებოდა. ამ კაშხალზე ვფიქრობთ გამოვიყენოთ ხის პლასტიკური მასის სრიალა საყრდენები.

დამპროექტებელთა კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს და მთელ გამოცდილებას გამოიყენებს, რათა ვადამდე შეასრულოს საპატიო დავალება.

სტალინგრადი. სტალინგრადჰიდრომშენის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში დამზადებულია მცირე ჰიდროელექტროსადგურის მაკეტი. მაკეტი დაამზადა მოქანდაკე-მხატვარმა ვ. დ. ზაიცევმა საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის ს. ს. კირკოროვის ხელმძღვანელობით. **სურათზე:** ს. ს. კირკოროვი (მარცხნივ) და ვ. დ. ზაიცევი მზა მაკეტთან.

ფოტო ა. მაკლუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მიჯინგი კარპოვკის საგუმბავ სადგურთან

ილიევკა (სტალინგრადის ოლქი), 3 თებერვალი. (საკდესი). დღეს კარპოვკის სატუმბავ სადგურთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პირველი სატუმბავი აგრეგატის ამუშავებას და კარპოვკის წყალსაცავში დონის წყლის გადატუმბვის დაწყებას. მიტინგზე ჩამოვიდნენ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ყველა უბნის მშენებელთა წარმომადგენლები, ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები და სტალინგრადისა და დონის კალაჩის ათასობით მუშა და მოსამსახურე.

ღრუბლიანი დღე იყო. სუსხიანი, მძაფრი ქარი ქროდა. მაგრამ სადგურის მომიჯნავე ადგილი გაზაფხულის წყალდიდობას მოგვაგონებდა. სატუმბავი დანადგარის მაღალ კოშკურაზე განუწყვეტლივ გადმოქუხს ოთხი მძლავრი ჩანჩქერი. წყალი თვალდათვალ მატულობს. უკვე აივსო მომავალი წყალსაცავის დიდი ნაკვეთები, მაღლობი ადგილები კუნძულებად გადაიქცა. ცივა. მაგრამ ხალხი საათობით დგას და უყურებს მიწის ამ საოცარ გარდაქმნას.

სადგურზე ალისფერ ტილოებსა და დროშებს შუა ჩასმულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტი. მას შეჰყურებს ათასობით თვალი, გაისმის უდიდესი სიხარულისა და მადლობის მგზნებარე სიტყვები. მიტინგი გახსნა არხის მშენებლობის სამმართველოს პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ამხ. ვიაზოვიკოვმა.

სიტყვა ეძლევა დონის სამშენებლო რაიონის უფროსს ამხ. ტარხანოვს. იგი ამბობს, რომ ბოლშევიკების პარტიის, დიდი სტალინის ნებით სინამდვილედ იქცა, განხორციელდა რუსი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება ვოლგისა და დონის შეერთების შესახებ. კომუნიზმის პირველი მშენებლობა მწყობრში დგება.

შეკრებილნი აღფრთოვანებულ ოვაციას მართავენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. ყველა მხრიდან მოისმის შეძახილები: „დიდება ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“. ქუხს ძლიერი „ვაშა“!

სტალინგრადის ოლქის მშრომელთა სახელით მშენებლებს მოპოვებული გამარჯვება მხურვალედ მიულოცა საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრიშინმა.

მშენებლობის წარჩინებულმა მექექსკავატორემ ამხ. ერმოლენკომ და კრასნოარმეიისკის სამშენებლო რაიონის უფროსმა ამხ. ალექსანდროვმა განაცხადეს, რომ მშენებლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე გადასცენ არხი საექსპლოატაციოდ.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მოვარდნილი წყლისათვის გზის გაღაღობვა

კუიბიშევის ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედანი. სტალინური კონსტიტუციის დღეს „კუიბიშევჰიდრომშენზე“ მუშაობა დაიწყო მიწახაპა „ხუთწლედმა“. ჰიდროტექნიკური მშენებლობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ შვიდსართულიანი სახლისოდენა უზარმაზარმა მიწახაპა ხომალდმა დაიწყო დიდი სიღრმიდან გრუნტის ამოღება ზამთრის პირობებში, ყინულებში. და იღებდა იგი არა ლამს და მონატან სილას, როგორც ჩვეულებრივი მიწახაპა, არამედ მძიმე ქვიან გრუნტს, რომელშიც მშენებლებმა ვერ მოახერხეს ფოლადის ხიმინჯების ჩასობა, რათა ზღუდართან შეექმნათ მძლავრი სიმაგრე.

მიწახაპა აგრეგატის ეკიპაჟი, რომელსაც გამოცდილი ჰიდრომექანიზატორი ამხ. დობროვოლსკი ხელმძღვანელობს, სიძნელეებს წააწყდა, მაგრამ შეძლო მათი დაძლევა: მან შეასრულა პასუხსაგები დავალება. ვოლგის მიუდგომელ ფსკერში გაიყვანეს დიდი ჭრილი — ამოიღეს ათასობით კუბური მეტრი ქვიანი გრუნტი.

ჭრილში სასწრაფოდ უნდა ჩაეყარათ სილა. ეს სამუშაო დაევალა 320-ე მიწისმწოვი მანქანის კოლექტივს, რომელსაც ამხ. ილინი ხელმძღვანელობს. ზამთრის მძიმე პირობებში კოლექტივმა ორ დეკადაში შეასრულა თვიური დავალება და ვალდებულება იკისრა იანვრის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ჩაეყარა ათასობით კუბური მეტრი გრუნტი. ამ ზეგეგმითი გრუნტით ამოვსებულ იქნა ტრანშეა, რომელიც „ხუთწლედმა“ გაჭრა ვოლგის ქვიან ფსკერში.

ეკიპაჟის ცვლები ცალკეულ დღეებში 300-400 პროცენტით ასრულებდნენ დავალებას. ბაგერმაისტერ ეკიკოვის ცვლამ სარეკორდო გამომუშავებას მიაღწია. მან სამუშაო დღის განმავლობაში ჩაყარა 6.700 კუბური მეტრი ნორმით გათვალისწინებული 1.250 კუბური მეტრის ნაცვლად.

ჰიდრომექანიზატორთა თავდადებული შრომა მშენებლებს საშუალებას მისცემს ააგონ ლითონის ხიმინჯებისაგან რვა ოცმეტრიანი უჯრედი, რომლებიც წინაალმდეგობას გაუწევენ გაზაფხულის მოვარდნილი წყლის დამანგრეველ ძალას და დაიცავენ ქვაბულის ზღუდარს. ეს უჯრედები რომ არ იქნეს, ზღუდარი ვერ გაუძლებდა მოვარდნილ წყალს და ვოლგა დაანგრევდა ყველაფერს, რაც მშენებლებმა წლის განმავლობაში ააგეს.

უკეთესად ვიმუშაოთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან

გორი. (საკ. კორ.). პარტიის გორის რაიკომი უკანასკნელ ხანებში სერიოზულ ორგანიზაციულს ახორციელებს პარტიის წევრობის კანდიდატების აღზრდისათვის. რაიკომის ბიურო სისტემატურად იხილავს ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში კანდიდატებთან მუშაობის საკითხს; პარტორგანიზაციათა მდივნების სემინარებზე იკითხება ლექციები პარტკანდიდატებთან მუშაობის შესახებ. ამ დღეებში პარტიის რაიკომმა მოიწვია პარტიის წევრობის კანდიდატთა რაიონული თათბირი.

რაიონის პირველად პარტორგანიზაციებში საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ამხ. თავყეელიშვილმა.

კარგად მოაწყეს პარტკანდიდატებთან მუშაობა მეჯვრისხევის, ხიდისთავის, ტყვიავის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებმა.

მაგრამ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები, კერძოდ სოფელ ტირძნისის, უფლისციხის, ბერბუკის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები სუსტად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან. ტირძნისის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია თითქმის არაერთარ აღმზრდელობით მუშაობას არ ეწევა კანდიდატებთან. ამ ორგანიზაციაში 4 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ირიცხება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. დოიჯაშვილმა.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი კანდიდატებთან მუშაობის გადაჭრით გუთმჯობესებისათვის.

ერთი ფაბრიკის გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი

ბათუმის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში ბევრი რეზერვები და შესაძლებლობანია, რომელთა გამოვლინებითა და გამოყენებით კოლექტივი მნიშვნელოვნად გაადიდებდა თავის წარმატებებს. სამწუხაროდ, ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ძლიერ სუსტად მუშაობენ ამ მიმართულებით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ფაბრიკაში საერთო საგეგმო დავალებები მხოლოდ რამდენიმე მოწინავე აგრეგატის ხარჯზე სრულდება, ხოლო მთელ რიგ აგრეგატებს შარშან საგეგმო დავალება არ შეუსრულებიათ. განსაკუთრებით ჩამორჩნენ მე-8 და მე-17 აგრეგატები. მათგან პირველმა წლიური დავალება მხოლოდ 68,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 74,8 პროცენტით. ფაბრიკას არ შეუსრულებია აგრეთვე დაწესებული ასორტიმენტის საქონლის გამოშვების გეგმა. 40 სახის პროდუქციიდან შესრულებულია მხოლოდ 30 სახის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

ფაბრიკაში სუსტად არის გაშლილი პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა. მე-7 აგრეგატმა შარშან პირველხარისხოვანი პროდუქციის წილი გეგმასთან შედარებით 9 პროცენტით შეამცირა, მე-8 აგრეგატმა — თითქმის 20 პროცენტით, ხოლო მე-17 აგრეგატმა — 13 პროცენტით. ეს იმის შედეგია, რომ არ წარმოებს ლიუბლინოელ სტახანოველთა თაოსნობის საფუძვლიანი დანერგვა თვითეულ აგრეგატზე. მოუწესრიგებელია მკერავის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ზუსტი აღრიცხვა. წუნდებული პროდუქციის გამომშვებთა მიმართ არ იღებენ სათანადო ზომებს. ანალოგიური მდგომარეობაა ფაბრიკაში მოსკოველი ნოვატორების მ. ლევჩენკოს და გ. მუხანოვის ცნობილი თაოსნობის დანერგვის საქმეშიც.

თუ რა მოგებას მისცემდა ფაბრიკას ამ ძვირფასი ინიციატივის დანერგვა, ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მარტო ქსოვილების დამფენთა ორმა წყვილმა: სონია გვასალიამ და ნადეჟდა რომანოვამ, ელენე ვოლკოვამ და ტატიანა ჩიჩკინამ შარშან მხოლოდ ერთ ოპერაციაზე—ქსოვილის დაფენაზე დაზოგეს 564 მეტრი ქსოვილი, რომლის ღირებულება 90 ათას მანეთს აჭარბებს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ეკონომია ექნებოდა ფაბრიკას, ამ მოძრაობაში ფართოდ რომ ჩაება ყველა მუშა.

ფაბრიკაში დღემდე არ არის აღმოფხვრილი მუშაობის მეტად მანკიერი პრაქტიკა — იერიშობანა. ხშირად თვის პირველ დეკადაში გეგმების შესრულება ჩამორჩება, ხოლო თვის მეორე და განსაკუთრებით მესამე დეკადაში აგრეგატები უფრო დაძაბული ენერგიით მუშაობენ, რათა მოასწრონ საგეგმო დავალების შესრულება. მუშაობის ასეთი პრაქტიკა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებას იწვევს.

იერიშობანა ფაბრიკაში ზოგჯერ იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო სამმართველო და „მკერავგასაღება“ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ ფაბრიკას, სამკერვალო სამმართველო ფაბრიკას ხშირად უცვლის საგეგმო დავალებებს. მარტო გასული წლის 24 დეკემბრიდან მიმდინარე წლის 10 იანვრამდე აღნიშნულმა სამმართველომ ოთხჯერ გამოუგზავნა ფაბრიკას ერთმანეთისაგან განსხვავებული საწარმოო გეგმები. იერიშობანას იწვევს ზოგჯერ დაწესებული ასორტიმენტისათვის საჭირო ნედლეულითა და მასალებით ფაბრიკის მომარაგების შეფერხება.

სამკერვალო სამმართველოსა და „მკერავგასაღების“ შეუთანხმებელი მუშაობისა და სუსტი კავშირის შედეგია ის, რომ ფაბრიკაში ხშირად დიდი რაოდენობით არის ჩაწოლილი მზა პროდუქცია. გამსაღებელი ორგანიზაცია „მკერავგასაღება“ ზოგჯერ უარს აცხადებს სამკერვალო სამმართველოს მიერ დაგეგმილი და ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის მიღებაზე. 1951 წლის 1 დეკემბრისათვის ფაბრიკის საწყობში გეგმით გათვალისწინებული მაქსიმუმის — 950 ათასი მანეთის ღირებულების მზა პროდუქციის ნაცვლად, 4.521.491 მანეთის პროდუქცია ინახებოდა, რაც თითქმის 5-ჯერ აღემატება დადგენილ ნორმატივს.

ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა გადაჭრით გააუმჯობესონ ბრძოლა წარმოებაში ყოველივე ახლის, პროგრესულის, მოწინავის გაბედულად დანერგვისა და მათი ბოლომდე მიყვანისათვის, უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ ფაბრიკაში არსებული ყველა რეზერვისა და შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებისათვის.

დ. პაიჭაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ავტომძღოლების წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მეორე ათეული წელი სრულდება, რაც ჭიათურაში ავტომანქანის მძღოლად მუშაობს ალექსანდრე ნადირაძე. იგი თვალისჩინივით უვლის მინდობილ მანქანას, რომლითაც მან ურემონტოდ 60.000 კილომეტრი გაიარა, ბევრი საწვავი დაზოგა და გასული წლის დავალება 177 პროცენტით შეასრულა. სანიმუშოდ მუშაობენ ავტომძღოლები ა. ჭელიძე და ვ. ბარსელიანი. პირველმა თავისი ავტომანქანა ურემონტოდ 42.584 კილომეტრი ატარა, ხოლო ვ. ბარსელიანმა 124.614 კილომეტრი.

ვ. ბარსელიანის მიღწევა სარეკორდოა ჭიათურელი ავტომძღოლებისათვის.

გავაძლიეროთ ძვირფასი ნედლეულის დამზადება

ღვინის ქვის მეავას დიდი გამოყენება აქვს საკონდიტრო, საკონსერვო და სხვა წარმოებაში. მისი დახმარებით მზადდება საუკეთესო ხარისხის ლიმონათები, შოკოლადი, სამკურნალო პრეპარატები, ძვირფასი საღებავები, იყენებენ ელექტროტექნიკაშიც.

ამ ძვირფასი პროდუქციის დამზადებისათვის არის გათვალისწინებული თბილისის ღვინის ქვის მეავას ქარხანა, რომელიც დამთავრების შემდეგ თავისი სიდიდით და სიძლიერით ერთ-ერთი მოწინავე იქნება საბჭოთა კავშირში. ქარხანამ პირველი პროდუქცია 1948 წელს მოგვცა, ამჟამად კი მისი პროდუქციის გამოშვება ერთთორად არის გადიდებული. საუკეთესო სპეციალისტებისა და სტახანოველი მუშების მაღალნაყოფიერი შრომით გეგმები ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ნედლეულის— ხმელი ლექის, ღვინის ქვის, კირმეავას და სხვათა თვისებებს, მაგრამ მევენახეობა-მეღვინეობის მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და ქარხნები, სახელდობრ სამტრესტისა და შამპანკომბინატის ქარხნები, ამას არ ითვალისწინებენ — ქარხანას ხშირად სრულიად უკონდიციო ნედლეულს აწვდიან. აღსანიშნავია, რომ მათ 1950 წელთან შედარებით შარშან ნედლეულის ხარისხი გაუარესეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე მოუწესრიგებელია ნედლეულის დამზადება, გამოყენებული არ არის შესაფერი ჭურჭელი და ტექნოლოგიური წესები. საჭიროა ნედლეულის დამზადება ფართოდ მოეწყოს კოლმეურნეობებსა და პირად მეურნეობებშიც, რაც გლეხობას დიდ შემოსავალს მისცემს.

კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია ლექისა და ღვინის ქვის დამზადების ფართოდ გაშლა. ამ საქმეში სამტრესტსა და შამპანკომბინატს ხელი უნდა შეუწყონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა.

კოლმეურნეობებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ძვირფასი პროდუქციის ნედლეულის დამზადებას სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით.

კარგი იქნება, თუ შამპანკომბინატი და სამტრესტი მოკლევადიან კურსებს მოაწყობენ და კოლმეურნეობათა ბრიგადირებს შეასწავლიან ნედლეულის დამზადების წესებს.

ასევე საჭიროა საქართველოს სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და მეცნიერებათა აკადემიამ გაითვალისწინონ ღვინის ქვის მეავას დიდი გამოყენება აქვს საკონდიტრო, საკონსერვო და სხვა წარმოებაში. მისი დახმარებით მზადდება საუკეთესო ხარისხის ლიმონათები, შოკოლადი, სამკურნალო პრეპარატები, ძვირფასი საღებავები, იყენებენ ელექტროტექნიკაშიც.

ამ ძვირფასი პროდუქციის დამზადებისათვის არის გათვალისწინებული თბილისის ღვინის ქვის მეავას ქარხანა, რომელიც დამთავრების შემდეგ თავისი სიდიდით და სიძლიერით ერთ-ერთი მოწინავე იქნება საბჭოთა კავშირში. ქარხანამ პირველი პროდუქცია 1948 წელს მოგვცა, ამჟამად კი მისი პროდუქციის გამოშვება ერთთორად არის გადიდებული. საუკეთესო სპეციალისტებისა და სტახანოველი მუშების მაღალნაყოფიერი შრომით გეგმები ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება.

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ნედლეულის— ხმელი ლექის, ღვინის ქვის, კირმეავას და სხვათა თვისებებს, მაგრამ მევენახეობა-მეღვინეობის მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და ქარხნები, სახელდობრ სამტრესტისა და შამპანკომბინატის ქარხნები, ამას არ ითვალისწინებენ — ქარხანას ხშირად სრულიად უკონდიციო ნედლეულს აწვდიან. აღსანიშნავია, რომ მათ 1950 წელთან შედარებით შარშან ნედლეულის ხარისხი გაუარესეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადგილებზე მოუწესრიგებელია ნედლეულის დამზადება, გამოყენებული არ არის შესაფერი ჭურჭელი და ტექნოლოგიური წესები. საჭიროა ნედლეულის დამზადება ფართოდ მოეწყოს კოლმეურნეობებსა და პირად მეურნეობებშიც, რაც გლეხობას დიდ შემოსავალს მისცემს.

კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია ლექისა და ღვინის ქვის დამზადების ფართოდ გაშლა. ამ საქმეში სამტრესტსა და შამპანკომბინატს ხელი უნდა შეუწყონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა.

კოლმეურნეობებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ძვირფასი პროდუქციის ნედლეულის დამზადებას სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით.

კარგი იქნება, თუ შამპანკომბინატი და სამტრესტი მოკლევადიან კურსებს მოაწყობენ და კოლმეურნეობათა ბრიგადირებს შეასწავლიან ნედლეულის დამზადების წესებს.

ასევე საჭიროა საქართველოს სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და მეცნიერებათა აკადემიამ გაითვალის-

ი. კუპარაძე
საქართველოს შამპანკომბინატის ღვინის ქვის მეავას ქარხნის დირექტორი

საბჭოთა მშენებლობა

ეორეული

მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის ცენტრი მოსახლეობაში

უკვე ათ წელზე მეტია, რაც ქუთაისში არსებობს საუბნო კომიტეტები, რომლებიც ნაყოფიერ მასობრივ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში. ქალაქი დაყოფილია სულ 74 უბნად, რომლებსაც ენერგიული და საქმიანი ადამიანები უდგანან სათავეში. თუ რა დიდმნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ ეს კომიტეტები, ამას მკაფიოდ ადასტურებს მეხუთე უბნის (უბნის კომიტეტის თავმჯდომარე მ. გრძელიშვილი) მაგალითი.

აღნიშნული უბანი ქალაქის გარეუბანში, „გორაზე“ მდებარეობს და 2 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ფართობი უჭირავს.

ამ უკანასკნელ ხანს კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა უბნის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის. მთლიანად იცვალა სახე გორკის ქუჩამ, რომელიც წინათ ისე იყო დაზიანებული, რომ ცუდ ამინდში გავლა ძნელდებოდა. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით რამდენჯერმე მოეწყო კვირაობა და ქუჩის ერთ კილომეტრამდე სასიარულო გზა მოიკირწყლა. ასევე სერიოზული მუშაობა ჩატარდა ვაჟა-ფშაველას, ცაცხვების და წყარის ქუჩების კეთილმოსაწყობად. მარტო შარშან ქუჩების გაყოლებით სამი ათასზე მეტი ძირი მცენარე დაირგო. ამან უფრო გაამშვენიერა უბანი.

კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული საქალაქო საბჭოს დეპუტატებთან და ბევრ სამუშაოს ერთობლივი ღონისძიებებით ასრულებენ. მაგალითად, ძნელაძის ქუჩის შესაკეთებლად დეპუტატი ნ. მეგრელიშვილი და მ. გრძელიშვილი ერთმანეთს დაუკავშირდნენ. პირველმა ორი მანქანა მოიყვანა, ხოლო მეორემ ქუჩის მცხოვრებლები გამოიყვანა სამუშაოდ. მათ ორგანიზებულად უზრუნველყვეს აღნიშნული სამუშაოს შესრულება. ადგილზე მიზიდულ იქნა 5 კუბმეტრი ქვა, 10 მანქანა ნახშირის ნამწვი, და ქუჩა წესრიგზე მოიყვანეს.

ყოველი ღონისძიების განხორციელებისას საუბნო კომიტეტი უნარიანად იყენებს აქტივს, რომელიც თავის ირგვლივ ჰყავს შემოკრებილი. 50-მდე აქტივისტი მხარში უდგას საუბნო კომიტეტს და სერიოზულ დახმარებას უწევს მას. ამიტომ უბანში მცხოვრები 4.000-მდე მშრომელი სისტემატურად გრძნობს საუბნო კომიტეტის მზრუნველობასა და ყურადღებას.

უბანი მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს მოსახლეობაში. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს კომიტეტი საარჩევნო კამპანიების დროს. ამ დროს იგი საარჩევნო კომისიის ძირითად დასაყრდენად ხდება.

აღნიშნულ საუბნო კომიტეტს უკეთესი წარმატებანი ექნებოდა მუშაობაში, საქალაქო საბჭო და მისი დაქვემდებარების საწარმოები უფრო ენერგიულად რომ დახმარებოდნენ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.

საუბნო კომიტეტმა ჯერ ქალაქის საბჭოს, შემდეგ „ქელასის“ (ქალაქის ელექტროანაგებათა სამმართველო) წინაშე მრავალჯერ დააყენა საკითხი 10 ბოძის გამოყოფის შესახებ, რათა უბნის ერთ-ერთი შესახვევი გაენათებინათ, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე ზოგან მოუგვარებელია წყალსადენის გაყვანის საკითხი. იმის გამო, რომ წყალკანალტრესტმა განრიგით გამოყოფილი 250 მეტრის ნაცვლად აღნიშნულ უბანში მხოლოდ 50 მეტრი მილი მიზიდა, გორკის ქუჩის № 1-დან № 55-მდე სახლებში წყალსადენი არ არის.

უბნის მცხოვრებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ „ქუთაისელის“ დირექციისადმი, რომელმაც ერთი წელია უმართებულოდ გააუქმა ნავთის კიოსკი ცაცხვების ქუჩაზე. ამ საკითხზე უბნის კომიტეტმა ოფიციალურად მიმართა ქალაქის საბჭოს ვაჭრობის განყოფილებას, მაგრამ უშედეგოდ.

საუბნო კომიტეტების ყველა საყურადღებო თაოსნობას მხარი უნდა დავუჭიროთ და დროულად გამოვეხმაუროთ. ქუთაისის საოლქო ცენტრად გადაქცევა დიდ ამოცანებს უყენებს საუბნო კომიტეტებს. მათ უფრო უკეთესად უნდა დარაზმონ მშრომელები ქალაქის შემდგომი ზრდა-განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

ბ. მეფისაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მექანიზაციორთა ახალი კადრები

დუშეთი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში თანდათანობით ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. სოფელ საშაბუროს, ბაზალეთის, მუადიჯვრის, არაგვისპირის, ბულაჩაურის, მლაშის და სხვა კოლმეურნეობებში ძირითად სამუშაოთა 70-75 პროცენტი მექანიზებულია. იზრდება სოფლის მექანიზატორთა რიცხვიც.

დუშეთის მტს-თან მუშაობას შეუდგა ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები. გამოცდილი მექანიზატორების ა. კობაიძის, ვ. ბახტაძის, თ. ბუტიკაშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით კურსებზე ტრაქტორისტის პროფესიას ეუფლება 55 კოლმეურნე. კურსების დამთავრების შემდეგ ისინი იმუშავებენ მტს-სა და კოლმეურნეობებში.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ძალების სწორად განაწილება სამეურნეო წარმატებათა მოპოვების მნიშვნელოვანი პირობაა

სამეურნეო წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე პარტიული ძალების სწორად განაწილება. ეს შესაძლებლობას აძლევს პარტიულ ორგანიზაციას ღრმად ჩაწვდეს საწარმოს ცხოვრებას, ოპერატიულად განახორციელოს მეურნეობისადმი პარტიული კონტროლი, სწრაფად გამოასწოროს შემჩნეული ნაკლოვანებანი, მხარი დაუჭიროს ყოველ ახალ თაოსნობას და განაზოგადოს იგი.

როგორ მუშაობს ამ მხრივ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია?

მოწინავე ახალგაზრდა მეტალურგების მიღებით მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ქარხნის პარტიული ორგანიზაცია 270 კაცით გაიზარდა და მეტალურგიული წარმოების მნიშვნელოვან ობიექტებზე მათი სწორად განაწილებით მიღწეულ იქნა წარმოებისადმი პარტიული გავლენის შესამჩნევად გაძლიერება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება.

მარტენის საამქრო მეტალურგიული ქარხნის ძირითადი საამქროა. მისი კოლექტივის წარმატებანი ბევრად განსაზღვრავს მთელი ქარხნის წარმატებას. ამიტომ ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ პირველ რიგში მიზნად დაისახა მარტენის საამქროში წამყვანი პროფესიის კომუნისტთა რიცხვის გაზრდა. ეს ამოცანა მოკლე ხანში განხორციელდა. მაგალითად, თუ რამდენიმე თვის წინათ საამქროში მომუშავე 9-10 მეფოლადიდან მხოლოდ ერთი იყო კომუნისტი, ახლა მეფოლადეთა 70 პროცენტზე მეტი კომუნისტები არიან.

წარმოების გადამწყვეტ ობიექტებზე შეიქმნა პარტიული ჯგუფები, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გაიჩაღეს კომუნისტების დასაზარაზმავად საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. საამქროს საუკეთესო სტახანოველი კომუნისტების — მეფოლადეების შ. კუხალეიშვილის, ი. ლაზარიაშვილის, ვ. გიგიბერიას, გ. სიგუას, ჩამტვირთავი მემანქანეების — რ. ცაბუტაშვილის, გ. ხუციშვილის, ჯართის ეზოს როფების ჩამტვირთავების — შ. ქაჯაიას, ტ. ბალავაძის, გ. გეფერიძის, მეარხეების — ვ. იაშვილის, ლ. მაჩაიძის, კ. კანდელაკის, ელექტროკოსების — კ. ცერაძის, ა. ჯანგველაშვილის, ვ. კაპანაძისა და სხვების თავდადებული შრომა სტიმულს აძლევს საამქროს მთელ კოლექტივს საწარმოო მაჩვენებლების შემდგომი ზრდისათვის.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ნოვატორთა ინიციატივას, მათი მუშაობის მეთოდების წარმოებაში ფართოდ დანერგვას. გასული წლის ნოემბრამდე მარტენის საამქროს კოლექტივი ჩამორჩებოდა ფოლადის გამოშვების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. კომუნისტმა მეფოლადეებმა შ. კუხალეიშვილმა, ვ. გიგიბერიამ და გ. სიგუამ თავიანთი ღუმელი სოციალისტურ დაცვაზე აიყვანეს და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით თვეში 300 ტონა ფოლადი გამოედნოთ. მეფოლადეები ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ პირველსავე დღეებში გამოირკვა, რომ საამქროს ადმინისტრაციამ მათ სათანადო პირობები ვერ შეუქმნა. ეს საკითხი განიხილა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ საამქროს ხელმძღვანელები, ცვლის უფროსები, ოსტატები და მეფოლადეები. დადასტურდა რომ მეფოლადეებს დროზე ვერ ამარაგებდნენ საჭირო რაოდენობის ჯართით, თუჯით, გასაწყობი მასალებითა და ინსტრუმენტებით. ბიურომ მიიღო დადგენილება და მის შესრულებაზე სისტემატური კონტროლი დაწესა. ასეთი დახმარების შედეგად მეფოლადეებმა გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ნოვატორთა წამოწყებას აქტიურად დაუჭერეს მხარი საამქროს დანარჩენმა მეფოლადეებმაც — ი. ლაზარიაშვილმა, ა. ფანცულაიამ, ი. მეტრეველმა, ზ. კვახაძემ, ვ. კალკოვმა და სხვებმა. ამის შედეგად მარტენის საამქროში მდგომარეობა გამოსწორდა.

საამქროში დიდი გამოხმაურება ჰპოვა კომუნისტ რ. ცაბუტაშვილის თაოსნობამ ჯართის ჩქარისნული ჩატვირთვის დარგში. ნოვატორის გამოცდილების განზოგადების მიზნით საამქროსთან შეიქმნა სტახანოვური სკოლა. ამჟამად საამქროს ჩამტვირთავ მემანქანეთა უმეტესობა ცაბუტაშვილის მეთოდით მუშაობს, რამაც ერთთორად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ამ დღეებში ასეთივე სკოლა შეიქმნა კომუნისტი მეფოლადის შ. კუხალეიშვილის მუშაობის მეთოდის გავრცელების მიზნით.

წინათ მარტენის საამქროს ჩამორჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჯართის დამამზადებელი ბაზა საამქროს დროზე ვერ ამარაგებდა ჯართით. ჯართის დამამზადებელი ბაზის ჩამორჩენა კი თავის მხრივ იმით იყო გამოწვეული, რომ აქ არ იგრძნობოდა პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების დამრაზმავი როლი, ცუდად იყო დაყენებული შრომის ორგანიზაცია, ამასთან მანქანებს სრული დატვირთვით არ იყენებდნენ. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი თავისი აქტივი დარაზმა ამ „ვიწრო ადგილის“ სალიკვიდაციოდ. ჯართის დამამზადებელი ბაზა გადაკეთდა საუნალო საამქროდ, მის ხელმძღვანელად გაგზავნა ენერგიული კომუნისტი ინჟინერ-მექანიკოსი გ. წიტაიშვილი. მალე საუნალო საამქროს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლითონსამსხვრევი ოყოფილობა, რკინის საჭელი დანადგარი და ორი მძლავრი ამწე, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაციაც, დაიწყო გადამუშავებული ჯართის ადგილზევე ჩატვირთვა ვაგონებზე დაწყობილ როფებში, რითაც შესამჩნევად განტვირთა კაზმის ეზოს ამწეების მუშაობა და უზრუნველყოფილ იქნა მარტენის ღუმელებისათვის ჯართის დროზე მიწოდება.

საუნალო საამქროში მოკლე ხანში კომუნისტთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ა. ბოლოთაევი) კომუნისტები წარმოების იმ ობიექტებზე გაანაწილა, რომლებიც უფრო ჩამორჩებოდნენ. კომუნისტთა უმეტესი ნაწილი გადაიყვანეს ჯართის მჭრელთა უბანში. ჯართის მჭრელმა კომუნისტმა გ. დედაბრიშვილმა შეიმუშავა ლითონის ჭრის ჩქარისნული მეთოდი, რომაც შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების ერთთორად და ერთისამად გაზრდა და მიღწეულ იქნა საწვავისა და ჟანგბადის დიდი ეკონომია. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით საუნალო საამქროსთანაც შეიქმნა სტახანოვური სკოლა. აქ ჯართის მჭრელებმა რამდენიმე დღეში აითვისეს დედაბრიშვილის მუშაობის მეთოდი. ამჟამად ჯართის მჭრელთა 80 პროცენტზე მეტი ახალი მეთოდით მუშაობს. ბოლო თვეებში საუნალო საამქრო მარტენის ღუმელებს გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ჯართს უმზადებს.

საამაყო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვა მარტენის საამქროს კოლექტივმაც. აქ გასული წლის მეოთხე კვარტალში და მიმდინარე წლის იანვარში ფოლადის გამოშვების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. ამჟამად საამქროს მეფოლადეები შ. კუხალეიშვილი, გ. სიგუა, ვ. გიგიბერია და სხვები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ მეფოლადის ს. იაკიმენკოს მეთოდით იმუშაონ და წლის განმავლობაში მარტენი ერთი ღუმელიდან სამშობლოს გეგმის გადამეტებით 15.000 ტონა ფოლადი მისცენ.

რამდენიმე თვის მანძილზე გეგმას ვერ ასრულებდა აგრეთვე მილების ნამზადის საამქროს კოლექტივი. ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა სამილე ძელების დამამუშავებელთა უბნის სუსტი მუშაობა. ლითონის ამომკვეთელთა ბრიგადა ვერ ასწრებდა დეფექტებისაგან სამილე ძელების დროულად განთავისუფლებას, მზა პროდუქციის განყოფილებაში მის ჩაბარებას. ამის შედეგად აღნიშნულ უბანში თავს იყრიდა დიდძალი დაუმუშავებელი პროდუქცია, რაც აფერხებდა სამილე ძელების გაგლინვის მთელ პროცესს. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ჩამორჩენილ უბანს სათავეში ჩაუყენა გამოცდილი სპეციალისტი კომუნისტი ვ. ვდოვენკო. მან მოკლე ხანში მაღალ დონეზე დააყენა შრომის ორგანიზაცია, განამტკიცა შრომის დისციპლინა და ყოველგვარი პირობა შექმნა საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად. ამას დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ ლითონის ამომკვეთლებმა ვ. იმნაძემ, ტ. ლაბაძემ და რ. დოლინსკიმ შეიმუშავეს მუშაობის ნოვატორული მეთოდი. ახალი მეთოდით მუშაობამ უზრუნველყო ლითონის ამოკვეთის დღიური დავალების 250-300 პროცენტით შესრულება. ამჟამად ლითონის ამომკვეთელთა მთელი ბრიგადა ნოვატორთა მეთოდის მიხედვით მუშაობს.

საამქროს წარმადობის ზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცალკეული საწარმოო უბნების პარტიული ჯგუფები. გასულ თვეში მილების ნამზადის საამქროში ყველაზე მეტად ჩამორჩა ნ. ჭანტურიძის ცვლა. ცვლის პარტიულმა ჯგუფმა (ორგანიზატორი რ. რიჟამაძე) მოიწვია კომუნისტების თათბირი, იმსჯელეს ცვლის ჩამორჩენის მიზეზებზე. აღმოჩნდა, რომ ცვლის წევრები შეუთანხმებლად მუშაობდნენ, ნაკლებად ზრუნავდნენ მანქანა-დანადგართა წესრიგზე მოყვანისათვის, ამწეებისა და მაცივრების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის, ირღვეოდა შრომის დისციპლინა და სხვ. ცვლის კომუნისტებმა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს. წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მოფიქრებულად გაანაწილეს კომუნისტები. პარტიულმა ჯგუფმა დასახული ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაება ცვლის ყველა კომუნისტი, აამაღლა გეგმის შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობა. დასახულ ღონისძიებათა შედეგად ნ. ჭანტურიძის ცვლამ მიმდინარე წლის იანვრის გეგმა 7 დღით ადრე შეასრულა, ხოლო მთლიანად საამქროს კოლექტივმა თვიური საწარმოო დავალება 4 დღით ადრე გაანაღდა.

მეტალურგიულ ქარხანაში პარტიული კადრების განაწილების მხრივ ნაკლოვანებანიც არის. მთელ რიგ დამხმარე საამქროებსა და განყოფილებებში კომუნისტთა ძალები ჯერ კიდევ გაძლიერებასა და საწარმოო უბნებზე მათ მოფიქრებულად განაწილებას საჭიროებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ავტოსატრანსპორტო, რკინიგზის, ორთქლძალოვან საამქროებსა და ქარხნის ტექნიკური მომარაგების განყოფილებაში. ქარხნისა და ზოგიერთი საამქროს ხელმძღვანელები ცალკეული კომუნისტების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას ზოგჯერ ფორმალურად უდგებიან. მაგალითად, ქარხნის რკინიგზის საამქროს აღმოსავლეთი სადგურის უფროსად მუშაობდა კომუნისტი გ. ტოკლიკიშვილი. იგი დაკისრებულ საქმეს კარგად ასრულებდა. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელებმა ტოკლიკიშვილი რატომღაც გაათავისუფლეს აღნიშნული თანამდებობიდან და მის ადგილას სხვა დანიშნეს. ახალ ხელმძღვანელს არ აღმოაჩნდა საქმის გაძღოლის უნარი, და ქარხნის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ სადგურის უფროსის პოსტზე ისევ ტოკლიკიშვილი დაებრუნებინათ. მსგავსი შემთხვევები სხვა საამქროებშიც არის. მთელ რიგ საწარმოო ობიექტებზე, როგორიც არის ქარხნის კაპიტალური მშენებლობათა სამმართველოს გაერთიანებული ლაბორატორიის საამქრო, ავტომატიკისა და გასაზომი საკონტროლო აპარატურის საამქრო და სხვა, კომუნისტები ჯერ კიდევ თავიანთი უნარის მიხედვით არ არიან გამოყენებულნი.

მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა უკეთესად უხელმძღვანელოს საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს, წარმოების მნიშვნელოვან ობიექტებზე კომუნისტების მიზანშეწონილად განაწილებით უზრუნველყოს შემდგომი საწარმოო აღმავლობა.

**შ.

ადამიანები და ქაღალდები

კაჭრეთელი ბოლშევიკები ცუდად როდი იბრძვიან სამეურნეო ფრონტზე. მათ გარკვეული მიღწევები აქვთ თავიანთი ახალი რაიონის კეთილმოწყობის საქმეშიც. მაგრამ კაჭრეთში არის ერთი დარგი, რომელიც ძლიერ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო დონეს. ეს არის ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი იმით არ არის გამოწვეული, რომ რაიონს არ ჰყავდეს შესაფერისი სამედიცინო კადრები. პარტიის კაჭრეთის რაიკომი ხშირად ამოწმებს რაიამბასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, რაიონული საავადმყოფოსა და საექიმო უბნების მუშობას, ზოგჯერ იხილავს მათს საკითხებს ბიუროს სხდომებზეც, გამოაქვს დადგენილებანიც, მაგრამ საქმე კვლავ ძველებურად მიდის. კვლავ სუსტად მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, რაიონული საავადმყოფო და ზოგიერთი სოფლის საექიმო უბანი.

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი? უპირველეს ყოვლისა კადრების არასწორად განაწილებაში. ერთი შეხედვით არაფერია ცუდი იმაში, რომ რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობაზე დანიშნეს ახალგაზრდა ექიმი ივ. კვეზერელი. მაგრამ როდესაც მას ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე აწინაურებდნენ, რაიონულ ხელმძღვანელობას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უნდა გაეთვალისწინებინათ მისი შესაძლებლობანი და წარსული; გაეთვალისწინებინათ ის, რომ ექიმი კვეზერელი სამედიცინო სამსახურის არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის ორჯერ იყო პასუხისგებაში მიცემული, ერთხელ კი მსჯავრდადებულიც; რომ მას რამდენიმე პარტიული სასჯელი ჰქონდა, რის გამო იგი შეექვსე წელია პარტიის წევრობის კანდიდატია.

ყოველივე ამან ჯანმრთელობის დარგის დაწესებულებათა მუშობა არანორმალურ მდგომარეობამდე მიიყვანა. შედიხართ კაჭრეთის რაიონულ საავადმყოფოში და თუ თეთრხალათიანი ექიმები არა, ვერაფერით იგრძნობთ, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვდით. შემოუკავებელი ეზო ლორებს გადაუთხრიათ, პირველ სართულზე პროდუქტების საწყობის გვერდით თავლაა, მეორე სართულის დერეფანში ინდაურები ჰყავთ.

საავადმყოფოს შესასვლელთან მოხუცი დარაჯი სინანულით მიგვითითებს გაჩანაგებულ ხეხილის ბაღზე. თურმე ბაღსა და მის ლობეს მთელ ზამთარს შიშად ხმარობდნენ საავადმყოფოში. ამჯერად ცეცხლს მისცეს ზიარელ, ქოდალოელ და არაშენდელ კოლმეურნეთა ნაამაგარი, რომლებმაც საავადმყოფოს ეზოს შემოსაკავებლად 160 შრომადღე დახარჯეს.

არც ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობაა დამაკმაყოფილებლად დაყენებული. პალატებში მინებია ჩამსხვრეული და სიცივეა. ავადმყოფები საჭირო მედიკამენტებითაც არ არიან დროულად უზრუნველყოფილი. მედიკამენტების სწორი და მიზნობრივი ხარჯვისადმი მტკიცე კონტროლის უქონლობის გამო ქირურგიულ, ინფექციურ და თერაპიულ განყოფილებებს პენიცილინის დიდი დანაკლისი აქვთ. არ არის გამორიცხული, რომ აქ ადგილი ჰქონდეს ზოგიერთი პრეპარატის სპეკულაციასაც. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ შარშან საავადმყოფოსა და მისი აფთიაქის მთელი ათი წლის არქივი გაანადგურეს, რაც უთუოდ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად იყო გაკეთებული. უცნაურია, მაგრამ დამნაშავეთათვის ჯერაც არ მოუთხოვიათ პასუხი.

საავადმყოფოში ერთერთი მივიწყებული უბანია ავადმყოფთა სწორი რეგისტრაციისა და ავადმყოფობის ისტორიის სწორად და უშეცდომოდ შევსების საკითხი. ხშირად დიაგნოზის დასმაც ჭიანურდება. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა ავადმყოფის მდგომარეობა რთულდება, რადგან სათანადო დახმარებას დროზე არ უწევენ. ყველაფერ ამას ზედ ემატება ავადმყოფთა ცუდი კვება. საავადმყოფოში იშვიათი გამონაკლისის გარდა უხორცო, სტანდარტულ საჭმელს ამზადებენ; არ იცავენ ავადმყოფთა დიეტას. ყოველდღიურად არ დგება სადილის მენიუ. გარეშე პირთა თვალისასახვევად ფორმალურად ინახავენ ძველ მენიუს, რომ ამით შეცდომაში შეიყვანონ დაინტერესებული პირნი.

არის საფინანსო დისციპლინის დარღვევაც. ხარჯთაღრიცხვის გვერდის ავლით 1950 წელს მეტად დაბალხარისხოვნად შეასრულეს საავადმყოფოს შენობის მიმდინარე რემონტი, რაზეც 23.484 მანეთი დაიხარჯა. დიდი თანხა დაიხარჯა აგრეთვე რენტგენის აპარატის დასადგმელად, მაშინ როცა ამ სამუშაოს შესრულება გაცილებით ნაკლები სახსრების დახარჯვას ითვალისწინებს. მიღებული არ არის არავითარი ღონისძიება დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ. დებიტორები კი საავადმყოფოს არც ისე ცოტა ჰყავს.

ეს ნაკლოვანებები არ იქნებოდა, კაჭრეთის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი რომ გაეწია საავადმყოფოსათვის. გასულ წელს რაისაბჭოს აღმასკომმა საავადმყოფოს მუშობის შესამოწმებლად გამოყო კომისია ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ამხ. ვ. ჯინჯიხაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ როგორც კომისიამ, ისე აღმასკომმა შემოწმების შედეგების განხილვა დაიგვიწყეს.

როგორც ირკვევა, ამხ. ჯინჯიხაძეს არც შეეძლო საუჯარაზე გამოეტანა საავადმყოფოს მთავარი ექიმის დანაშაულობანი, რადგან ზოგიერთი მათგანი მისი წაქეზებით და უშუალო მონაწილეობით იყო ჩადენილი. უფრო მეტიც. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ჯინჯიხაძე თვითონ სჩადის დანაშაულობას. იგი ხშირად არასწორად აკომპლექტებს ექიმის თანაშემწეთა და სანიტართა შტატს. ხშირია შემთხვევა, რომ ექიმის თანაშემწეებად ინიშნებიან ნაკლები კვალიფიკაციისა და მცირე პრაქტიკის მქონენი, მაშინ როცა გამოცდილი და კვალიფიციური მუშაკები ან სულ არ მუშაობენ, ან არადანიშნულებისამებრ არიან გამოყენებული. ყველაფერი ეს ხდება ჯინჯიხაძის პირადი მოსაზრებით და დაინტერესებით.

ბადიაურის საექიმო პუნქტში ექიმის თანაშემწედ მუშაობს ამხ. მირვანაშვილი, რომელსაც ჯინჯიხაძის ხელშეწყობით სანიტრის თანამდებობაზე ფიქტიურად ჰყავს გაფორმებული თავისი დედა. ჯინჯიხაძე ასევე უკანონოდ აძლევდა რვა თვის მანძილზე ხელფასს ექიმის თანაშემწე ჯავახიშვილს. ასეთი შემთხვევები სხვაც არის.

კაჭრეთის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება სუსტად ეხმარება საექიმო უბნებსა და საავადმყოფოებს. საავადმყოფოები და ჯანმრთელობის პუნქტები ჯერ კიდევ ძალიანად უზრუნველყოფილი არ არიან შესაფერისი სამედიცინო კადრებით. ყველა ეს ნაკლი გამოწვეულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ჯინჯიხაძე ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი პირდაპირი მოვალეობით. ჯინჯიხაძემ გასულ წელს მთელი თვეობით სამსახურს მოწყვიტა სანიტრები და ბონიფიკატორები, რომლებიც უსასყიდლოდ ამუშავა საკუთარი სახლის მშენებლობაზე.

მას შემდეგ, რაც პარტიის კაჭრეთის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონული საავადმყოფოს საკითხი და დასახა ღონისძიებანი, მოსალოდნელი იყო, რომ იქ მუშაობა გარდაიქმნებოდა, მაგრამ გადის თვეები და როგორც საავადმყოფოში, ისე საერთოდ რაიონში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა უარესდება. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: რაიკომი არ ამოწმებს თავის დადგენილებათა შესრულებას, სათანადოდ ვერ რაზმავს მედიცინის მუშაკებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

კაჭრეთლებს სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სამინისტროს უყურადღებობით უნდა აიხსნას ის, რომ საავადმყოფოები ელემენტარული ხელსაწყო-იარაღებით არ არიან მომარაგებული და რაიონს სასწრაფო დახმარების ერთი მანქანაც არა ჰყავს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკები იშვიათად ჩადიან კაჭრეთში. ცოცხალი და პრაქტიკული ხელმძღვანელობის ნაცვლად სამინისტრო ბიუროკრატიულ, კანცელარიულ მიმოწერას, ქაღალდებისა და ცირკულარების დაგზავნას სჯერდება.

სამინისტროდან მიღებული უკბილოდ შედგენილი ქაღალდები ბლომად ინახება კაჭრეთში, საქმე კი კვლავ ძველებურად მიდის. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და კაჭრეთის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას შორის ამ „ქაღალდების“ თამაშით როდი უმჯობესდება რაიონში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ელ. უგილავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„განუხრელად ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1951 წლის 29 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში არაკეთილხარისხოვანი კრეპის გამოშვების ფემთხვევები იყო.

ამასთან დაკავშირებით ფაბრიკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ქურიძე გვატყობინებს, რომ მიღებულია ღონისძიებანი 1952 წელს აბრეშუმის კრეპის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამისათვის განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებანი: შეკეთდა ძაფის გადასახვევი მანქანები და ყველა თითისტარზე მოეწყო ძაფის საშენდი მოწყობილობა; ძაფის საგრეხი მანქანებისათვის დაწესებულია საგეგმო-გამაფრთხილებელი, რომონტის, დაზეთვის, წმენდისა და მალე გასაცვეთი ნაწილების შეცვლის გრაფიკი; დაიდგა და ამუშავდა დიდი წარმადობის ახალი ძაფსაგრეხი მანქანები; შემოღებულ იქნა ნაგრეხის კვალიფიციურ მსნჯავთა მუშაობა ყოველ ცვლაში; თვითეული მუშის მიერ გამოშვებული პროდუქცია ინომრება, რაც ხელს უწყობს წუნის გამოვლინებას; ნაგრეხის უკანასკნელ გადახვევაზე შემოღებულია, ხოლო გადახვევის მთელ ციკლზე — დღეებში განხორციელდება ბაშკიროვის სისტემის ძაფსასკვნელის წარმოებაში დანერგვა, რითაც აღმოიფხვრება ნაგრეხზე ნასკვების გაყოლების შემთხვევა.

ფაბრიკაში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.



სურათზე: ხუხუმის რკინიგზის ვაგზლის ახალი შენობის საერთო ხედი.

სუხუმის ვაგზლის ახალი შენობა

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში—სუხუმში ახლახან დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ვაგზლის შენობა, რომელიც ქალაქ-კურორტის შვენებას წარმოადგენს.

ნაგებობის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები ლოლა და ლევან მუკუდიანები. ახალგაზრდა საბჭოთა არქიტექტორებმა თავიანთ შემოქმედებას საფუძვლად დაუდეს კლასიკური ხუთრიგმოძღვრული მემკვიდრეობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, უხვად გამოიყენეს ქართული ეროვნული არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციები. ამ ტრადიციების ახლებურად გადამუშავებით, სოციალისტურ რეალიზმზე დაყრდნობით, ავტორებმა შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს და დამსახურებულ წარმატებას მიაღწიეს.

შენობის მდებარეობა ნათლად არის განსაზღვრული სასურველი პერსპექტიული ხედისათვის და საავადმყოფოს ნაგებობებთან, ხოლო მისი დანიშნულება სწორად განსაზღვრავს ქალაქის მთავარ მაგისტრალთან ტრანსპორტის მოძრაობისა და ვაგზლის დატვირთვა-განტვირთვის გრაფიკს.

ვაგზლისწინ მოასფალტებული დიდი მოედნიდან შევდივართ შენობის ცენტრალურ ვესტიბიულში, რომლის ორივე მხარეს მოთავსებულია ფართო და ნათელი მოსაცდელი დარბაზები. დარბაზთა განაპირა ნაწილებში დაგეგმარებულია ერთი მხრივ რესტორანი სამზარეულო კვანძით და მეორე მხრივ — ვაგზლის ადმინისტრაციის, დედათა და ბავშვთა, სანიტარული კვანძისა და სხვა საჭირო სათავსები.

შენობას, გარდა ცენტრალური ვესტიბიულისა, ნაპირებში აქვს დამოუკიდებელი შესასვლელები.

სიმეტრიულად განლაგებამ და კონსტრუქციულად დახვეწილმა სქემამ განსაზღვრა შენობის გარეთა არქიტექტურა. ვაგზლის სიგრძე 135 მეტრს აღწევს, ნაპირებში მოთავსებული ლია პავილიონების ჩათვლით. მისი არქიტექტურა სავსებით შეესაბამება მინაარსობრივ მხარეს. არქიტექტურული კომპოზიცია წარმოადგენს ცენტრალური ნაწილისა და მისი ორივე მხარის სიმეტრიულად განლაგებული არქიტექტურული ფორმების მთლიან ანსამბლს. სილუეტში მკვეთრად გამოიყოფა სიმეტრიის ღერძი — შენობის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ორივე ფასადიდან ვერტიკალური მოტივით არის ხაზგასმული. ბაქნის მხრიდან ფასადის ცენტრალური ვესტიბიულის კედლის სიბრტყეს ამთავრებს მსუბუქი, პავილიონის ტიპის თაღოვანი ბელვედერი, ხოლო ქალაქის მხრიდან ცენტრალური შესასვლელის ანალოგიურად დამუშავებულ კედლის სიბრტყეს აგვირგვინებს პავილიონის ზემოთ აღმართული კოშკური შპილით და ხუთქიმიანი ვარსკვლავით.

მთელ სიგრძეზე ორივე მხრივ დაგეგმარებული კოლონადა და შიდა სიბრტყის თაღოვანი ხვრეტების აჟურული-გამჭირვალე დამუშავება მთლიანად ეხამება ცენტრალური ნაწილის მსუბუქ ფორმებს და შენობას კომპოზიციურად მთლიან არქიტექტურულ სახეს აძლევს. ნაგებობის ცალკეული არქიტექტურული ფორმები, დეტალები, სვეტები, კაპიტელები, ორნამენტული მოტივები, პარაპეტი და სხვა დეკორაციული სამკაული მასშტაბური და ზომიერად პროპორციულია. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ქართული ეროვნული არქიტექტურის საგანძურიდან არის აღებული, გადამუშავებული და გამოყენებული. ამ მხრივ განსაკუთრებით დასაფასებელია ნიჭიერი ავტორების დიდი შრომა.

ფასადების არქიტექტურას სრულყოფს მის სიბრტყეზე მოსაპირკეთებლად გამოყენებული თეთრი ქვა, რითაც შემოსილია სვეტებიც. ქვის ფილების ზედმიწევნით გულმოდგინე დამუშავებამ და ზუსტმა წყობამ უზრუნველყო კედლების ზედაპირის სიგლუვე და მონოლითობა.

მაღალხარისხოვნად, ოსტატურად და ფაქიზად არის შესრულებული ქვაზე ორნამენტული დეტალებისა და მოტივების ჩუქურთმა. ასევე გულმოდგინედ არის დამუშავებული ძეგრწვის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. ამ საერთო ძოკაზმულობასთან ჰარმონიულად ეხამებოდა ბაქნის მხრიდან თაღების ზედა სიბრტყის ქვაზე ამოკვეთილი მოოქროული წარწერა „სუხუმი“—ქართულ და რუსულ ენებზე. ჩამოთვლილი დეკორაციული რეპერტუარი ფასადის საუკეთესო მორთულობას წარმოადგენს და აკოცხლებს მის არქიტექტურულ გამომეტყველებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შენობის შიდა არქიტექტურული გაფორმება. დიდი გემოვნებით და ზომიერებით არის გადაწყვეტილი ცენტრალური ვესტიბიულის მოცულობა. კედლის შვიდისფერ და ყავისფერ ფონთან კარგადაა შეხამებული პილასტრები და სვეტები, რომლებიც შემოსილია სვანეთის ღია ნაცრისფერი მარმარილოთი.

ცალკეული არქიტექტურული დეტალები — ძლიერი და მეტად საინტერესო პროფილის კაპიტელები, ვარდულები, კარ-ფანჯრის მოჩარჩოება და ნახატის შიდა კარნიზი, აჟურული და მსუბუქი ლითონის ვიტრაჟები, საუკეთესოდ გადაწყვეტილი ჭერის მოხატულობა ერთიან და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ვესტიბიული ღამითაც მეტად ეფექტურია, მას აკოცხლებს კარნიზის რელიეფის უკან ჩამალული ელექტრონათურებიდან და ჭერის ვარდულზე ჩამოკიდებული მდიდრულად გაფორმებული ჭაღიდან მოწოდებული უხვი სინათლე. დანარჩენი დარბაზების ინტერიერები სტილისტურად საუკეთესოდ ეხამება ცენტრალური ვესტიბიულის გაფორმებას, მათში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს რესტორანის ჭერის კესონური გადაწყვეტა და მოსაცდელი დარბაზის კარის ორნამენტული მოჩარჩოება. დარბაზების არქიტექტურის ერთიან კომპოზიციაში გემოვნებით გაანაწილებულია საინტერესო მოხაზულობისა და ფერადოვნების მოზაიკის იატაკი. სუხუმის ვაგზლის არქიტექტურის წარმატებას ხელი შეუწყო მშენებელთა კოლექტივის გულმოდგინე და ენერგიულმა მუშაობამ. სამუშაოთა წარმოების სწორმა ორგანიზაციამ და შესრულების მაღალმა ხარისხმა უზრუნველყო ავტორების ჩანაფიქრის შესანიშნავი განხორციელება.

სუხუმის ვაგზლის არქიტექტურას ზოგიერთი ნაკლიც აქვს. შენობის მკაფიო სიმეტრიულ კომპოზიციაში წონასწორობას არღვევს ცენტრალურ ნაწილში ორივე ფასადზე აღმართული პავილიონები. ერთი და იმავე არქიტექტურული ფორმის ერთიმეორის გვერდით გამეორება მიზანშეუწონელია, მით უფრო, რომ პავილიონი, რომელიც აღმართულია ფასადზე ბაქნის მხრიდან, სრულიად მოკლებულია რაიმე დანიშნულებას, არავითარი ფუნქცია არ მოეპოვება და წმინდა დეკორაციულ ელემენტს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, კომპოზიციური მთლიანობისათვის ლოგიკური იქნებოდა ერთი ვერტიკალის შექმნა ცენტრალური ნაწილის შუაში.

ფასადის მსუბუქ და აჟურულ სისტემას ცენტრალურ ნაწილში არღვევს ბაქნიდან ვესტიბიულში შესასვლელი სამი ყრუ კარი. ისინი ფასადისთვისაც მძიმეა და ფუნქციონალურადაც გაუმართლებელია, ვინაიდან ვესტიბიულში მყოფ მგზავრებს შესაძლებლობა არა აქვთ თვალი ადევნონ მატარებლების მოძრაობას. აგრეთვე სასურველი იყო შენობა მდგარიყო შედარებით მაღალ კვარცხლბეკზე. ვესტიბიულის ინტერიერში თაღოვანი ზედაპირები მეტად დანაწევრებულია უმასშტაბო ხვრეტებით, ხოლო გარეთა კოლონადის ჭერის სიბრტყის მორთულობა ინტერიერულია და არა ექსტერიერული.

ეს ნაკლოვანებები ღირსებას ვერ უკარგავს ამ შესანიშნავ ნაგებობას. ზოგიერთი მათგანის გამოსწორება მომავალშიც შეიძლება. მთლიანად სუხუმის ვაგზლის ახალი შენობა ქართული საბჭოთა არქიტექტურის თვალსაჩინო გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

არქიტექტორი მ. ლოლაშვილი

ახალი სასკოლო შენობა რუისში

ქარელი. (საკ. კორ.). ქარელის რაიონის სოფელ რუისში შეუდგენენ მზადებას საშუალო სკოლისათვის დიდი ორსართულიანი სასკოლო შენობის ასაგებად. საკლასო ოთახებს გარდა შენობას ექნება საკუთარი საკლუბო დარბაზი, სხვადასხვა კაბინეტები, ფიზკულტურის დარბაზი და სამუშაო ოთახები, დირექტორის საცხოვრებელი ბინა და სხვ.

სკოლის საშენებლო მოედანზე უკვე მიზიდულია საშენი მასალა. შენობის აგება წელს უნდა დამთავრდეს.

ახალი ნაკლოვანებანი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის ბაზრის ბაზარზე ბევრ ადგილას ყიდიან ბოლოდროინდელ ნაკლოვანებიანი ტანსაცმელ-ფეხსაცმელ-ეულეულობა. ეს ადგილობრივ

მაჟარებელი მარშალ ჩოიბალსანის ცხედრით ულან-ბაჭორს ჩავიდა

ულან-ბატორი, 5 თებერვალი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორის მშრომელნი შეხვდნენ მონღოლი ხალხის დიდი შვილის მარშალ ჩოიბალსანის ცხედარს. ვაგზლისპირა მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში დილაადრიანვე სამგლოვიარო ალმებითა და ჩოიბალსანის პორტრეტებით შეიკრიბა ქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები.

ვაგზლის პერონზე მატარებლის შესახვედრად შეიკრიბნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბუმაცენდე, ცედენბალი, დამბასა და სხვები, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს გამოეცქვთ მარშალ ჩოიბალსანის კუბო და დგამენ სამგლოვიარო ავტომანქანაზე. საერთო ლტმილში უფრო დაბლა იხრება სამგლოვიარო ალმები და დროშები, სალაქიო ყარაული აძლევს სამხედრო სალამს.

სამგლოვიარო პროცესია ნელა მიემართება რკინიგზის დასის მთავარი ქუჩით ქალაქის პროსპექტისაკენ და შემდეგ სუხე-ბატორის მოედნით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახლისაკენ. მთავრობის სახლის შენობასთან მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს მარშალ ჩოიბალსანის კუბო ავტომანქანიდან გადმოაქვთ და მთავრობის სახლის დიდ დარბაზში შეაქვთ. კუბოს დგამენ მაღალ კვარცხლბეკზე. სამგლოვიაროდ მორთულ დარბაზში შეაქვთ მრავალი გვირგვინი.

მთავრობის სახლის წინ შეიკრიბა დედაქალაქის ათასობით მცხოვრები. მწუხარებით დადუმებულნი დგანან ისინი იმ შენობასთან, სადაც მარშალი ჩოიბალსანი დაუღალავად შრომობდა მონღოლი ხალხის საკეთილდღეოდ.

სამგლოვიარო მატარებლის მთელ გზაში სუხე-ბატორიდან დედაქალაქამდე სადგურებში იკრიბებოდნენ ხალხის დიდი მასები, რათა უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ მარშალ ჩოიბალსანს. დიდ სადგურებში გიმართია სამგლოვიარო მიტინგები, მარშალ ჩოიბალსანის კუბო შემოკრებილ იქნა გვირგვინებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დახურვა

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი მეექვსე სესია. მის უკანასკნელ პლენარულ სხდომებზე განიხილავდნენ რეზოლუციების პროექტებს, რომლებიც მიღო მესამე კომიტეტმა (სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი), აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს, რომელიც ინგლის-ამერიკის ბლოკმა თავს მოაბეზა პირველი და შეერთებული მეორე და მესამე კომიტეტების მის მიერ უკანონოდ მოწვეულ გაერთიანებულ სხდომას. ამ რეზოლუციის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე კორეის საკითხის განხილვის ჩაშლა.

უკანასკნელად განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტი კორეის საკითხზე. ამ პროექტისათვის კენჭისყრის წინ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

შემდეგ კენჭი უყარეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს. ხმის მიცემის ამერიკულმა მანქანამ დამტამსა ეს სამარცხვინო რეზოლუცია, რომელიც ხელს უწყობს კორეასა და შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიის გაფართოებას.

ამით ამოიწურა გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დღის წესრიგი.

შემდეგ გამოსულნი ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სალვადორის წარმომადგენლები (ადილომდნენ შეეჯამებინათ სესიის „შედეგები" და აცხადებდნენ, თითქოს მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

ამ ფარისეველურ მტკიცებას პასუხი გასცა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

ი. ა. მალიკის განცხადება გენერალური ასამბლეის 1952 წლის 5 თებერვლის უკანასკნელ კენჭისყრის სხდომაზე

სსრ კავშირის დელეგაციის სახელით მსურს ამ ტრიბუნიდან მადლობა გადაუხადო თავისუფლებისმოყვარე ფრანგ ხალხს იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მან უკვე მეორეჯერ გაუწია გენერალურ ასამბლეას. მე განსაკუთრებით მსურს მადლობა გადავუხადო ფრანგ ხალხს იმ გულთბილი და მეგობრული წერილებისა და მომართვებისათვის და იმ მრავალი დელეგაციისათვის, რომლებიც მან გამოგზავნა საბჭოთა დელეგაციასთან და სხვა ქვეყნების დელეგაციებთან, მოითხოვდა რა მშვიდობას და ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირების შესახებ ასამბლეის მიერ კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებას, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარების ღონისძიებათა მიღებას. ამან უფრო აღგვაფრთოვანა მშვიდობისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მე მსურს აღვნიშნო გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის ბან ნერვოს მუშაობა და მისთვის ჩვეული ტაქტი, მოთმინება და დარბაისლობა ესოდენ რთულ პირობებში თავისი დიდად პასუხსაგები მოვალეობის შესრულებისას.

მსურს აგრეთვე აღვნიშნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს იმ თანამშრომელთა და განსაკუთრებით რუსული სექციის მთარგმნელთა კარგი მუშაობა, რომლებმაც ოცტა როდი იშრომეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ ასამბლეის მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა.

რაც შეეხება სესიის მუშაობის შედეგებს, ან არსებობს საფუძველი, რომ გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის მუშაობა წარმატებულად მივიჩნიოთ. ამერიკული დოკუმენტების წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მეთაურობს, გენერალურმა ასამბლეამ ვერ მიიღო ვერც ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიზანი იყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ნამდვილი განმტკიცება, გამოლებული შეიარაღების შეწყვეტა, საერთაშორისო დაძაბულობის განლება.

საბჭოთა დელეგაციის კონკრეტული წინადადებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ უარყოფილ იქნა ინგლის-ამერიკის ბლოკის და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების მიერ. წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების, წლის განმავლობაში ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღების ½-ით შემცირებისა და მათ შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ აგრეთვე უარყოფილ იქნა ინგლის-ამერიკის ბლოკის მიერ. ყოველივე ამის ნაცვლად გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის—ლიტონი, შენინაარსო რეზოლუცია, რომელიც არსებითად ატომური იარაღის აკრძალვას და შეიარაღების შემცირებას ცვლის უშინაარსო ყალბი წინადადებებით ჩვეულებრივი შეიარაღების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის შესახებ და ატომური იარაღის დაუყოვნებლივი აკრძალვის და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირების საკითხი შორეული და გაურკვეველი ვადისათვის გადაიგზავნა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებთან ერთად არ დაუშვა გენერალურ ასამბლეაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, როგორიც კორეის საკითხია. მათ განზრახ ჩაშალეს ამ საკითხის განხილვა, რადგან ესწრაფოდნენ იმას, რომ ხელ-ფეხი გაეხსნათ კორეაში ამერიკა-ინგლისის აგრესიის განგრძობისა და შორეულ აღმოსავლეთში აგრესიის გაფართოებისათვის.

მათ უარყვეს აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების კანონიერი მოთხოვნა — ასამბლეაში განეხილათ მაროკოს საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის მისაჩქმალავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომი გამოყენების მიზნით გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს რეზოლუცია ეგრეთწოდებული „კოლექტიური ღონისძიებათა" შესახებ. ეწინააღმდეგებოდა რა გენერალური ასამბლეის მიერ კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარების ღონისძიებათა მიღებას. ამან უფრო აღგვაფრთოვანა მშვიდობისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ფაქტი ცხადყოფს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აშკარად შთაგონებს და მხარს უჭერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ავრეთვე ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ზრახვებსა და მოქმედებას.

ბულგარეთის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ ნოტაში, მტკიცე პროტესტს უცხადებს დიდი ბრიტანეთის მთავრობას ბულგარეთისადმი მტრული მოქმედების გამო, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება არსებულ ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს და რომელიც ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, აქეზებს აგრესიასა და ომს.

ავსტრალიის ლეიბორისტული პარტიის ლიდერის განცხადება

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის საინფორმაციო კორესპონდენტის მიერ კანბერიდან გადმოცემული ცნობიდან ჩანს, ავსტრალიის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ეუატმა განაცხადა, რომ ავსტრალიის ლეიბორისტულმა პარტიამ გადაწყვიტა პარლამენტის ახალ სესიაზე, რომელიც ხვალ იხსნება კანბერაში, გაიღაშქროს იაპონიასთან სეპარატული ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც ეუატის განცხადებიდან ჩანს, ლეიბორისტები დაიცავენ ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების „უშიშროების" აგრესიულ წყნარი ოკეანის პაქტს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხრიკები ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 6 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „აღ-მისრი" იუწყება, კაიროში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი ერმიტ რუზველტი. გაზეთის სიტყვით იგი შეისწავლის ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას.

გაზეთი „ან ნიდა", იმოწმებს რა ინფორმაციის საიმედო წყაროს, იუწყება, რომ რამდენიმე ამერიკელი კონგრესმენი გაემგზავრა ეგვიპტეში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკელ მოხელეთა ჩამოსვლის გახშირება გამოწვეულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებში ამერიკის გავლენის შესუსტებით.

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგანგებო კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შუა აღმოსავლეთის საქმეთა კონსულტანტი ერმიტ რუზველტი შეხვედა ეგვიპტის პოლიტიკურ მოღვაწეებს. შესაძლოა, რომ მან დაავლეთის სახელმწიფოთა სახელით კვლავ წინადადება მისცა ეგვიპტეს შეუერთდეს შუა აღმოსავლეთის „თავდაცვის ბლოკის" მონაწილეებს.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 5 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადაცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

გუშინ ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგე ცდილობდა მოეტანა იერიშები, რომლებიც სახალხო ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს.

შვეიცის გაზეთი მოსკოვის მომავალი საერთაშორისო ეკონომიური თათბირის შესახებ

ციურიხი, 5 თებერვალი. (საკდესი). „ბაზელ ნაიხრიხტენ" მთავარმა რედაქტორმა ჰელმერ ჰოლმბერგმა მოთავსა მორწმუნე სტატია, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის მომავალ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს. იგი აღნიშნავს, რომ ეს თათბირი დიდ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში, კერძოდ შვეიცარიაც, სადაც უკვე იკრიბება შვეიცარიის ეკონომიკის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი მოსკოვში გასამგზავრებლად.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ შვეიცარიისათვის უაღრესად საჭიროა განვითარდეს ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. იმ პირობებში, როცა ამერიკელთა ზეგავლენის შედეგად შვეიცარიის მრეწველობის ზოგიერთი დარგი იძულებულია შეაჩეროს წარმოება ნედლეულის ნაკლებობის გამო, საჭიროა შვეიცარიამ აწარმოოს ვაჭრობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, სადაც ბაზარი თავისუფალია კრიზისებისაგან. თავის დროზე წერს ჰოლმბერგი, შვეიცარის ვაჭრობის ყოფილი მინისტრი გუნარ მიურდალი აცხადებდა, რომ შვეიცარის ურთიერთობა უნდა დამყარებინა კრიზისებისაგან თავისუფალ აღმოსავლეთის ბაზრებთან. ბეჭრნი, მათ შორის ალბათ მთავრობის მთელი რიგი წევრებიც, იზიარებდნენ მიურდალის ამ აზრს. მაგრამ აღმოჩნდნენ უფრო გავლენიანი ძალები, რომლებიც თანდათანობით წარმართავდნენ შვეიცარის სავაჭრო პოლიტიკას ამერიკის მიერ ნაჩვენები გზით, და ამან გამოიწვია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიური ბლოკადა. ავტორი აღნიშნავს, რომ მერყეე ბაზრებთან ასეთი ცალმხრივი სავაჭრო კავშირი დიდ შიშსა ქმნის და კატასტროფით ემუქრება შვეიცარის ეკონომიურ ცხოვრებას.

„მსოფლიოსათვის უკეთესი იქნებოდა, — დასასკვნის იგი, თუ ევროპის მთავრობები შეიგნებდნენ, რომ მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვენ სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებას იმ ქვეყნებთან, რომლებსაც არ ესაჭიროებთ დანომვა, რომლებიც კი არ ხურავენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, არამედ ხსნიან ახლებს, რომლებიც კი არ ადიდებენ, არამედ ამცირებენ ფასებს და რომლებიც ევროპის ხალხებისაგან მოითხოვენ მოსპონ ის ეკონომიური რკინის ფარდა, რის შექმნასაც ცდილობენ ამერიკელები".

ავსტრია ემზადება საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

ვენა, 5 თებერვალი. (საკდესი). ავსტრიაში შეიქმნა მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის მომზადების კომიტეტი. კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პროფესორი დობრეტსბერგერი.

კომიტეტს განზრახული აქვს უახლოეს ხანში მოაწყოს ვენაში სხდომა, სადაც მიწვეულ იქნებიან საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობით დაინტერესებული ყველა წრის წარმომადგენლები. სხდომაზე განზრახულია შეიქმნას საინიციატივო კომიტეტი, რომელშიც შეკრულნ იქნებიან ეკონომიკის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის წარმომადგენლები.

გერმანიის რეპარაციიზაციის წინააღმდეგ

ინტერპელაცია საფრანგეთის მთავრობისადმი

პარიზი, 6 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ლიბერასიონის" ცნობით, პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრებმა მთავრობაში შეიტანეს ორი ინტერპელაცია გერმანიის შეიარაღების გამო.

რონის დეპარტამენტის დეპუტატი პიერ კოტი მოითხოვს, რომ მთავრობამ განაცხადოს, თუ როგორია მისი პოზიცია „ევროპის არმიის შექმნის საკითხზე მოლაპარაკებაში, რომლის შედეგია გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის გაძლიერება".

დეპუტატი ჟილბერ დე შამბრენი (ლოზერის დეპარტამენტი) ინტერპელაციაში აღნიშნავს, რომ „გერმანიის შეიარაღებასთან დაკავშირებით სერიოზული საფრთხე მოელის საფრანგეთის უშიშროებას და მშვიდობას მთელ მსოფლიოში".

დე შამბრენმა შეიტანა აგრეთვე ინტერპელაცია „ომ ღონისძიების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის პროფესორ ბერნალის წინააღმდეგ, რომელსაც არ დართეს ნება დარჩენილიყო საფრანგეთის ტერიტორიაზე, როცა იგი 2 თებერვალს გადმოვიდა თვითმფრინავიდან. ეს ღონისძიება მით უფრო შეუწყნარებელია, ნათქვამია ინტერპელაციაში, რომ იგი ეხებოდა 1944 წლის ივნისში მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთში გადმოსხმისათვის ერთ-ერთ მთავარ მებრძოლს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეში".

ჯუნისის ამბები

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ტუნისში საპყრობილიდან გაათავისუფლეს ტუნისელი პატრიოტები ქალაქ სუსში და ფერიანელში. განთავისუფლებულია აგრეთვე ტუნისის თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარე დოქტორი სლიმან ბენ სლიმანი, რომელიც გადასახლებული იყო რემადაში.

„ფრანკ კოლონიზატორებს, — წერს გაზეთი „ლუმანიტე", — შეეშინდათ ქელბში, ბენჰალდეში, ტებულსა და ტაზერკაში ჩადგნილ დანაშაულობათა გამომჟღავნებისა. მათ სინელი მხეცმა არაფრით არ ჩამოუვარდება ჩვენს ქვეყანაში ოკუპაციის დროს ნაცისტთა მიერ ჩადენილ დანაშაულს".

„ლუმანიტე" წერს, რომ გუშინ დაატყვევეს 24 და მოკლეს 4 ტუნისელი პატრიოტი. პოლიციის ამ ახალმა დანაშაულობამ გამოიწვია აღშფოთება ქალაქის მოსახლეობისა, რომელმაც მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო.

გაზეთი „ფიგარო" ბეჭდავს ტუნისის სოციალისტური პარტიის ფედერაციის მდივნის კოენ ჰადრიის წერილს, რომელიც ამ ფედერაციის ორგანომ — ყოველკვირეულმა „ფრატერნიტემ" გამოაქვეყნა. ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ ტუნისელი მემარჯვენე სოციალისტები, ხალხის ეროვნული ინტერესების გამცემლობისა და მშრომელ წრეებთან შეთანხმების პოლიტიკის ერთგულნი, ეწინააღმდეგებიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განგრძობას და წინადადებას იძლევიან ტუნისის მთავრობამ უკან წაიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილი საჩივარი.

გამოძალვის ამერიკული პოლიტიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკას ზორის მოლაპარაკების გამო

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). მექსიკიდან გამოგზავნილ ცნობაში კომენტარს უკეთებს რა მთავარ სამხედრო მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი გრუსონი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „საეჭვოა ამ მოლაპარაკებას მოჰყვეს სასურველი შედეგი". გრუსონი განმარტავს, რომ მექსიკის მხარისათვის მოლაპარაკება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით დამთავრდეს, თუ მექსიკა შეასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ მოთხოვნებს.

ზოგიერთი მეთვალყურე ფიქრობს, აღნიშნავს გრუსონი, რომ მექსიკას შეუძლია სხვა ქვეყნებზე, იქიდ მიიღოს სამხედრო საჭიროველი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, „თუ იგი დათანხმდება გადადგას სოლიდარობის კონკრეტული ნაბიჯი — გაგზავნოს სიმბოლური შეიარაღებული ძალები კორეაში საომრად". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დღემდე მექსიკა უარს ამბობდა კორეაში ჯარის გაგზავნაზე. გრუსონის ცნობა ცხადყოფს, თუ რა მეთოდებს იყენებს ვაშინგტონი კორეაში თავისი ინტერვენციონისტული ჯარების შესაგზავნად.

ქურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" № 1

გამოვიდა [illegible] მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა" № 1.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწინავე — ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ლეო დავითაშვილი — ბალეობიოლოგია და მისი ამოცანები საქართველოში; პროფესორი ლევან გოგიელი — რა არის მათემატიკა?; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ლომთათიძე — ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მცხეთაში; შეეკუოროთ მოსწავლეებს მეცნიერება და ტექნიკა; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ს. კატაევი —ტელეხედი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ გაბაშვილი — გლებ მაჭისმელიანისა-ძე კრეიანოვსკი (დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად); ვ. მ. მოლოტოვის სახელობის გორკის ავტომობილის ქარხანა; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ალექსანდრე კალანდაძე, გერმან კობეკიშვილი—გ. ყ. ნიორაძის ხსოვნას; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების მე-15 სამეცნიერო სესია; გიორგი რუსაძე — ხარატი-ნოვატორი ა. ა. ავადანოვი; ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლევან გელეულსანი—თათბირი ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებზე; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი არდალიონ ფურცხვანიძე — მზის ნაწილობრივი დაბნელება; მეათე საკავშირო რადიოგამოფენისათვის; პასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე; მოსწავლეთა მე-7 სასწავლო-მეცნიერო ტექნიკური კონფერენცია; მეცნიერების და ტექნიკის კალენდარი.

გარდა ამისა, ჟურნალში მოთავსებულია საინფორმაციო მასალები და პასუხი ამოცანებზე.

ნახაჭი კინოფილმები

თბილისის კინოსტუდიის ნახატი ფილმებიწ სეკტორი რამდენიმე ახალ ნახატ ფილმს ამზადებს ეკრანზე გამოსაშვებად.

უახლოეს ხანში თბილისის კინოთეატრებში უჩვენებენ ფილმს „მარიკო და ზურიკო". ფილმის სცენარი და დადგმა ეკუთვნის კ. მიქაბერიძეს, მთავარი მზატვარია ა. კანდელაკი, მუსიკა — ა. ბუკასი.

დაწყებულია მუშაობა ახალ ფილმზე „ღარიბის ბედი" (სულხან-საბა ორბელიანის იგავების მიხედვით). სცენარი ეკუთვნის ე. კობიაშვილს, რეჟისორია ვ. მუჯირი, მთავარი მზატვარი — მ. სეხნიაშვილი, კომპოზიტორი — ა. კერესელიძე.

დაწყებულია აგრეთვე ფილმ „ბეკეკას" გადაღება. სცენარი ნ. ნაკაშიძისა და კ. მაჭარაძისა, რეჟისორები არიან შ. გედევანიშვილი და თ. მიქაძე, მთავარი მზატვარი — ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი — ა. კერესელიძე.

„მთების გული" ოპერის სცენაზე

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ამზადებს და უახლოეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს ა. ბალანჩივაძის ბალეტს „მთების გული". სპექტაკლს დადგმს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი. დადგმის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — კოლექტიური ხელშეკრულებები. მეორე მოწინავე — სასოფლო ელადგურები.

მოწინავე მეშახტეების წარმატებანი. ქართული ბრეშუმის ოსტატები. ფართოდ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი ფორმა. დ. ჩრდილელი — დადგენილებანი კმედითი უნდა იყოს. ქ. სუხუმის პარტიული აქტივის კრება.

მ. კოზორეზი — კაზახეთის ირიგატორების გამოცდილებიდან. ბ. შურავი—საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის გზა. მეჩიკე ა. გობრონიძის გამოცდილების მიხედვით.

მეხუთე გვერდი — ფხიზლად დავიცვათ სოციალისტური საკუთრება. მიეწყებული ქარხანა. ნორჩი პატრიოტების მიმოწერა.

კ. წერეთელი — სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

ი. გოცირიძე — შრომისა და მშვიდობისათვის (ენერეცენზია).

მკითხველთა წერილები — დ. კობახიძე — ზოოლოგიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. ა. ტიშენკო — ფოთის ნავსადგურში.

სარედაქციო ფოსტიდან — ლმობიერი მოსაბრთალი.

მეოთხე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დახურვა. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

ბულგარეთის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი

სოფია, 5 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა ნოტა, რომელიც ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა ინგლისის დიპლომატიურ მისიას სოფიაში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნათქვამია ნოტაში, თავისი მთავრობის დავალებით დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ მისიას აცნობებს შემდეგს:

მიმდინარე წლის 21-დან 24 იანვრამდე ლონდონში გამართა ეგრეთწოდებული „ევროპული მოძრაობის" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სექციის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთიდან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებიდან გაქცეულმა ყოველი ჯურის ფაშისტურმა ელემენტებმა, დამნაშავეებმა და ახალი ომის გამჩაღებლებმა. ამ კონფერენციაზე აშკარად იხილავდნენ საკითხს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მათ შორის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაშიც, კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების, ამ ქვეყნებში ფაშისტური, ექსპლოატატორული წყობილების აღდგენის შესახებ.

კონფერენციის სხდომაში უშუალო მონაწილეობა მიიღო აგრეთვე დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სანინო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა, რომელმაც გახსნა კონფერენცია და ბრიტანეთის მთავრობის სახელით მიულოცა მის მონაწილეებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კონფერენციას.

ამრიგად, დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან, ოფიციალურად იღებდა მონაწილეობას ხალხის მიერ განკიცხული და საძულველი, დამნაშაულებრივი ფაშისტური ელემენტების კონფერენციაში, რომლებიც შეთქმულებას აწყობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში კანონიერად დამყარებული წყობილების წინააღმდეგ. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა აშკარად შთაგონებს და მხარს უჭერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ავრეთვე ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ზრახვებსა და მოქმედებას.

ბულგარეთის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ ნოტაში, მტკიცე პროტესტს უცხადებს დიდი ბრიტანეთის მთავრობას ბულგარეთისადმი მტრული მოქმედების გამო, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება არსებულ ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს და რომელიც ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, აქეზებს აგრესიასა და ომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გაძღისემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

8 თებერვალს

6.25 — კონცერტი ენკენერის ნაწარმოებებიდან. 7.30 — სიმღერები მოსკოვზე და მშვიდობაზე. 10.30 — ნაწყვეტი ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „ქრისტინე". 11.00 — ნაწყვეტები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან. 17.15— ქართული ხალხური სიმღერები რადიოკომიტეტის ანსამბლის შესრულებით. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — კონცერტი რახმანინოვის ნაწარმოებებიდან. 19.15 — ჩაიკოვსკის სიმფონიური ნაწარმოებები. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.30 — ქალაქის ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45—დ. არაყიშვილის რომანსები. 21.00 — ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები". 21.50 — საბჭოთა პოეტების ლექსები მშვიდობაზე. 22.10— გადაცემა ციკლიდან: „თბილისის საოპერო თეატრი". 00.05 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

ღღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — სინათლე (მე-5